KARR0115909362823

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/38 **20 / ივლისი / 2023 წ.**

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 26.01.45.518 სასტუმრო და სასტუმრო ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2023 წლის 6 ივლისს № 535/09 განცხადებით მომართა მოქალაქე იოსებ გელაშვილმა ((პ.ნ01001012939) შემდგომში:დაინტერესებული პირი). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 26.01.45.518 (დანართი 1-ის შესაბამისად) სასტუმრო და სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და პროექტის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 26.01.45.518 განთავსებულია ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში და -„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 590 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, ხვდება საკურორტო ზონა 2 (შზ-7)- ის საპროექტო არეალში.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განვითარება სასტუმრო და სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსით, საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ში დადგენილი პარამეტრების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, დანართი № 1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე, სასტუმრო და სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47- ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული "სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების გათვალისწინებით.

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;

2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე